თბილისის "დინამო" - საპასუხისმგებლო ეტაპზე

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 16 აგვისტო.

"ქაირათი" (ალმა-ათა) – "დინამო" (თბილისი) 1:3 (0:2).

"ქაირათი": ბურაკოვი, შადიევი, ჩუხონცევი, ჯუმანოვი, ილინი, ნიკიტენკო (სტუკაშოვი), ბერდიევი, გლადილინი, შტრომბერგერი, მოსკოვჩენკო (შოხი), ფეხლევანიდი.

"დინამო": გაბელია, სვანაძე, ჩივაძე (თავაძე), ხიზანიშვილი, მელიქია, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი (ცავა), ჟვანია, შენგელია.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

მაყურებლები - 26.200.

თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები საუკეთესოდ თამაშობენ წლევანდელი ხანგრძლივი გასვლითი მატჩების სერიას და მეტოქეთა მინდვრებზე ქულას ქულაზე იღებენ. თავისთავად, ეს ძალზე სასიამოვნო ამბავია, ვინაიდან საპრიზო ადგილებზე გასვლისთვის წლეულს თანაბარი შანსით იბრძვის უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდი. მაგრამ, გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თბილისელ ფეხბურთელებს სულ მალე ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველი მატჩი აქვთ ავსტრიის "გრაცერ აკ"-თან და გუნდი მას სრულ მზადყოფნაში უნდა შეხვდეს. თბილისის "დინამოს" ბოლო პერიოდის შედეგები ცხადყოფს, რომ იგი აქტიურად ეგებება 16 სექტემბერს - ევროპული გათამაშების პირველ დღეს.

განვლილ მატჩში მასპინძლებს ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ საიმისოდ, რათა რამდენადმე მაინც შეევსოთ ქულათა მარაგი და არ დაეთმოთ პოზიციები, ვინაიდან "ქაირათი" დიდად არაა დაცილებული სახიფათო ზონას, ყოველ მატჩს მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დინამოელებმა შესანიშნავად ითამაშეს და თავიდანვე მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა.

სულ რამდენიმე წუთის დაწყებული იყო მატჩი, როცა გუცაევი სწრაფად გავიდა მარჯვენა ფრთაზე, ჩააწოდა კართან და აქ მას მოუსწრო ჩივაძემ - 1:0.

37-ე წუთზე სტუმრების ერთ-ერთი იერიშისას კარგად ითამაშა ჟვანიამ და მეორედ აიძულა "ქაირათის" მეკარე ბურაკოვი ბურთი ბადიდან გამოეტანა - 2:0.

შესვენების შემდეგ, 62-ე წუთზე, თბილისელთა საუკეთესო ბომბარდირმა შენგელიამ გაიმარჯვა მეტოქის მცველთან ბრძოლაში და მესამე ბურთი გაგზავნა მასპინძელთა კარში.

მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებზე მიეცა საშუალება სტუკაშოვს გაეტანა ერთადერთი საპასუხო გოლი. თბილისის დინამოელებმა კვლავ წარმატებას მიაღწიეს მეტოქის მინდორზე.

"ლელო", 18 აგვისტო 1981 წ.